საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება №6/14

ქ.თბილისი "16" მარტი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში "კომისია") აპარატში ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით „მაუწყებელთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კომისიის აპარატში კომისიის ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის ადმინისტრირება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს;
2. კომისიის აპარატში რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტს მიენიჭოს წვდომა სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის იმ ნაწილზე, რომელიც განკუთვნილია ამ დეპარტამენტის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის პირველი მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულებით" გათვალისწინებული ფუნქციებისთვის;
3. კომისიის აპარატში სატელეფონო მომსახურების ტექნიკოსს მიენიჭოს დაშვება კომისიის შენობის სართულებზე განთავსებულ საკომუნიკაციო კარადებზე;
4. სასერვერო აღიჭურვილ იქნას წვდომის ელექტრონული კონტროლის სისტემით, რომელიც გააკონტროლებს და ჩაიწერს სასერვეროში წვდომის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების შესვლის და გამოსვლის დროს;
5. აიკრძალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ნებართვის გარეშე სასერვერო ოთახში ლეპტოპების, პლანშეტების, USB მოწყობილობების, CD/DVD და სხვა მოწყობილობების შეტანა;
6. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
7. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში.
8. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (ა. ღლონტი).

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**